წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **ომარ ქარდავა.**
თანამდებობის დასახელება - **საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**
ფრაქციის დასახელება- **საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".**
1.კომისი(ებ)ის დასახელება- **საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.**
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -**პროპორციული.**
საანგარიშო პერიოდი 2022 წლის - **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ოქტომბრამდე.**
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ **რიგითი**

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა -23

საკრებულოს სხდომებზე დასწრება ___ 23

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 22 მ/შ დროებითი კომისიების _____

კომისიის სხდომებზე დასწრება _____15 მ/შ დროებითი კომისიების _____

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _ 8

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____ 8

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესახებ;
- შესყიდვების გეგმის შესაბამისად, 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ;
-გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;
-საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ
-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში)არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
-შპს „ენგურჰესთან" დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე;
-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე;
-,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2022- 24 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;
- მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ყოველ კვარტალურად გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები;
-და სხვა საკითხები...

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დადებითად შეფასებას;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _ 32 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა-385;

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები -ძირითადი საკითხები რომლებზეც მოსახლეობამ გაამახვილა ყურადღება ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გზები, წყალი, გარე განათება, მინი-სტადიონების მოწყობა).

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მინი-სტადიონის მშენებლობა ბ.შანავას ქუჩაზე, ბონდის ხიდის რეაბილიტაცია მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში, გარე განათების მოწყობა სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა სხვადასხვა განცხადებები რომლებიც ეხებოდა გაბიონის მოწყობას, საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციას და სხვა. ყველა საკითხი გადაეგზავნა მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

შევსების თარიღი _ 28/10/2022წ.

წარდგენის თარიღი _ 28/10/2022წ.

ხელმოწერა